

შპს „ალაგი ლოგისტიკს“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	8
4. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.....	12
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	13
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	14
8. ძირითადი საშუალებები	14
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15
10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	15
11. ფინანსური აქტივები.....	15
12. მოკლევადიანი სესხები.....	15
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების	6	29,470	47,501
ექვივალენტები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,264,500	786,336
ფინანსური აქტივები	11	9,474	9,488
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,303,444	843,325
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	38,146	53,104
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,146	53,104
მთლიანი აქტივები		1,341,590	896,429
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,528,099	892,886
მოკლევადიანი სესხები	12	15,130	14,497
საგადასახადო ვალდებულებები		17,245	19,470
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,560,474	926,853
მთლიანი ვალდებულებები		1,560,474	926,853
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-	-
		218,884	30,423
სულ საკუთარი კაპიტალი		- 218,884	- 30,423
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,341,590	896,430

ტარიელ მიხეილიძე
დირექტორი
22.09.2025



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები		519,982	3,298,220
ტრანსპორტირების ხარჯები	-	539,479	- 2,450,777
შრომის ანაზღაურება	-	115,201	- 331,229
საიჯარო ქირა	-	7,446	- 28,624
კომუნიკაციის ხარჯები	-	1,791	- 4,275
კომუნალური ხარჯები	-	1,040	- 3,679
დაზღვევა	-	7,766	- 26,742
რეკლამის ხარჯები	-	-	- 11,935
კომპიუტერის ხარჯები	-	-	- 55
საბანკო მომსახურება	-	2,948	- 9,266
სამივლინებო ხარჯები	-	-	- 215
ცვეთა და ამორტიზაცია	-	14,957	- 14,104
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	24,235	- 199,594
საოპერაციო მოგება	-	194,881	217,725
სხვა შემოსავლები	-	-	51
სხვა ხარჯები	-	2,470	- 18,511
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან - წმინდა		24,602	18,098
მოგება დაბეგვრამდე	-	172,749	217,363
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	-	172,749	217,363

ტარიელ მიხეილიძე
დირექტორი
22.09.2025



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	100,585	100,585
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
წმინდა მოგება	-	-298,077	-298,077
გაცემული დივიდენდი	-	-50,294	-50,294
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-247,786	-247,786
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
წმინდა მოგება	-	217,363	217,363
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-30,423	-30,423
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-172,749	-172,749
წმინდა მოგება	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-172,749	-172,749

ტარიელ მიხეილიძე
დირექტორი
22.09.2025



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები	651,333	3,377,782
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	666	17,072
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	- 575,792	-3,269,804
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	-71,045	- 168,592
გადახდილი სხვა გადასახადები	-22,706	- 85,166
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	- 17,544	- 128,708
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-21,985
სესხის გაცემა	-	-9555
გაცემული სესხის ამოღება	-	315
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-31,225
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების ზრდა	4,043	13444
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-4,043	-
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	13444
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	- 17,544	- 146,489
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	47,501	196,307
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	-487	-2317
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	29,470	47,501

ტარიელ მიხეილიძე
დირექტორი
22.09.2025



7-16 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალაგი ლოგისტიკს“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 11 დეკემბერს.

კომპანიის წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
დავით მიხეილიძე	-	-	37%
დავით შალუტაშვილი	-	73%	36%
არნოლდი გზირიძე	-	27%	27%
ტარიელ მიხეილიძე	100%		
სულ		100%	100%

შპს „ალაგი ლოგისტიკს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო და შიდა გადაზიდვის მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, N 62.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ცოტნე დადიანის N 7.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიამ 2024 წელი დაასრულა ზარალით, ამასთან კომპანიას გააჩნია უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი და მთლიანი აქტივები ნაკლებია მთლიან ვალდებულებებზე. თუმცა კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას, კომპანიის მფლობელებს აქვთ სურვილი განაგრძონ მისი საქმიანობა. კომპანიას აქვს მოლოდინი რომ პრობლემა არ შეექმნება ვალდებულებების დაფარვის მიმართულებით.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს

აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 22 სექტემბერს.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მესამე ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამონაკლისი.

კომპანია გასულ პერიოდებში ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლას გავლენა არ ჰქონია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, შესაბამისად აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ადრინდელი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით მომზადებული 2021 წლის მოგების ან ზარალის შეჯერება იმავე პერიოდის მოგებასთან, ან ზარალთან, რომელიც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის მიხედვით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა აქტივები	5

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს ხომ არ არსებობს ძირითად საშუალებების გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს გადაზიდვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ამონაგების აღიარება ხდება თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**სამუშაო და წარდგენის ვალუტა**

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლო მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
----------------------------------	--------	--------

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ

გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	5,525
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	24192	38553	46,938
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5278	8948	143,844
სულ	29470	47501	196,307

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1199900	637920	55,708
გადახდილი ავანსები	64596	148412	14,403
სხვა მოთხოვნები	5	5	16,459
სულ	1264501	786337	86,570

საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას (2023 წელს 0 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა აქტივები	სულ
თვითღირებულება					
31 დეკემბერი 2023	14,580	46,474	16,499	3,620	81,173
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	14,580	46,474	16,499	3,620	81,173
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2023	- 6,610	- 12,896	- 6,995	- 1,568	- 28,069
პერიოდის ამორტიზაცია	- 1,458	- 9,307	- 3,468	- 724	- 14,957
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	- 8,068	- 22,203	- 10,463	- 2,292	- 43,026
ნეტო საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	7,970	33,578	9,504	2,052	53,104
31 დეკემბერი 2024	6,512	24,271	6,036	1,328	38,146

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	244068	282652	485,853
მიღებული ავანსები	1281143	605828	56,694
გადასახდელი ხელფასები	2888	4405	12,004
სულ	1528099	892885	554,551

10. დაკავშირებულ მხარეთან ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	11875	30998	136,837
სულ	11875	30998	136,837

11. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები			
(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2024	31.12.2023	
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	-	9488	
სულ	-	9,488	

სესხი დენომინირებულია ლარში. არ ერიცხება პროცენტი და არ არის უზრუნველყოფილი.

12. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	აბალი	
(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2024	31.12.2023
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	-	14497
სულ	-	14497

სესხი დენომინირებულია ლარში. არ ერიცხება პროცენტი და არ არის უზრუნველყოფილი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.